

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 109

ქალაქი ქუთაისი

23

იანვარი

2015 წელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რაგბის კლუბ „აიადან“, როგორც ერთ-ერთი დამფუძნებლის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის გამოსვლის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რაგბის კლუბ „აიადან“ (ს/კ-204556195), როგორც ერთ-ერთი დამფუძნებლის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის გამოსვლის თაობაზე.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი